საქართველოს მთავრობის

დადგენილება №198

2022 წლის 12 აპრილი

ქ. თბილისი

„სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/04/2015, 010130000.10.003.018561) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. დანართ №1-ის („დიპლომატიური პასპორტის მიღების უფლების მქონე პირები“):

ა) „ლ^{1}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ^{1}) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი;“;

ბ) „ლ^{1}“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ^{2}“ ქვეპუნქტი:

„ლ^{2}) სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი;“.

2. დანართ №2-ის („სამსახურებრივი პასპორტის მიღების უფლების მქონე პირები“):

ა) „მ^{1}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ^{1}) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე და მოადგილე;“;

ბ) „მ^{1}“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ^{2}“ ქვეპუნქტი:

„მ^{2}) სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე და მოადგილე;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**